სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5

ქ. თბილისი 2026 წლის 07 აგვისტო

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.ნაზირა კაკულია 2. ნინო ფარესაშვილი 3. მარინა მაისურაძე 4. ლუკა გიორგობიანი 5. გიორგი გოროზია 6. ლუკა რუხაძე 7. ნიკა სამხარაძე 8. ლია მაჭავარიანი 9. მარიამ ახალკაციშვილი 10. მაკა მურვანიძე 11. ლუკა გერგედავა 12. მაია ივანიძე 13. ირა აქუბარდია 14. ნინო გოგნიაშვილი 15. ბარბარა მახარაძე 16. რევაზ გაჩეჩილაძე 17. კახა კუჭუხიძე 18. ლუკა ტაბიძე 19. ვლადიმერ გამსახურდია 20. ლილი მამუკაშვილი 21. ნინი ჯავახიშვილი 22. ვლადიმერ მარგველაშვილი 23. თინა ქიტუაშვილი 24. ია კირვალიძე 25. ლალი შარვაძე 26. დემეტრე აბესაძე 27. ანასტასია ზაქარიაძე 28. მანანა რუსიეშვილი 29. ნათია ფიფია 30. ქეთევან სტურუა 31.ზურაბ გაიპარაშვილი 32. ციური სუმბაძე 33. ადა ნემსაძე 34. თეიმურაზ მაჩაიძე 35. თამილა ჩალაძე 36. მარინე ხუციშვილი 37.ეთერ კაკულია 38. ნოდარ ლომიძე 39. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა საბჭოს წინაშე დასვა დღის წესრიგის წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

**დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.14.14.010.030) - ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ, უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის კანონმდებლობით დადგენილი წესით, იჯარის უფლებით გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა #48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის (განახლებული საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.182) გამიჯვნისა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე).

**1.** საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხება შპს „მაგთიკომის“ განცხადებას, რომელიც უკავშირდება ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.14.14.010.030), კერძოდ, ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ უნივერსიტეტის ეზოში განთავსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის იჯარის უფლებით გაცემას.
აღნიშნული ინფრასტრუქტურის იჯარით გაცემის მიზანს წარმოადგენს მობილური და მობილური ინტერნეტ კავშირის ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხსენებულ რკინის კონსტრუქციაზე დაგეგმილია შესაბამისი სატელეკომუნიკაციო აპარატურის, ანტენებისა და საბაზო სადგურის განთავსება.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა პერიოდში, „მაგთისა“ და „სილქნეტის“ მიერ არაერთხელ დაისვა საკითხი, ანტენების განთავსების უფლებაზე თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსების სახურავზე, თუმცა მათ ეთქვათ უარი, ამ შენობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიდან გამომდინარე.
ამჯერად, საუბარია ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ უნივერსიტეტის ეზოში განთავსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის იჯარით გაცემაზე. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დადგენილი წესით, ჩატარდება აუქციონი, სადაც მონაწილეობის უფლება ექნება ნებისმიერ დაინტერესებულ კომპანიას. აღინიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, რის საფუძველზეც მიღებულ იქნას გადაწყვეტილება, საკითხის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოსათვის განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემის თაობაზე.
ამდენად, საკითხი თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია სენატის სხდომაზე, უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა უპასუხა სენატის წევრთა შეკითხებს იჯარის ვადისა და სხვა პირობებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 01.14.14.010.030) - ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ, უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის, დადგენილი წესით, იჯარის უფლებით გაცემაზე, სატელეკომუნიკაციო აპარატურის, ანტენებისა და საბაზო სადგურის განთავსების მიზნით (დანართი 2);

**2.** საკითხის მომხსენებელმა, თავდაპირველად ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსების უკან არსებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობის ირგვლივ არსებულ სიტუაციაზე, კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების პროცესში წარმოშობილ ხელისშემშლელ გარემოებებზე და იმ ფინანსურ სირთულეებზე, რამაც შეუძლებელი გახადა პროცესის გაგრძელება და შედეგად, კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება შეწყდა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჯერად სენატის წინაშე განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შემოსული წერილი, რომელიც ეხება შპს „ოპტიმა საბურთალოსა“ და შპს „ლენდის“ ერთობლივ მომართვას, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის ქუჩა N48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის გამიჯვნასა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხს. განმარტა, რომ თსუ-ს ადმინისტრაციამ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის მიწერილი 2026 წლის 28 ივლისის #17090/02-80-03 წერილით დააფიქსირა, რომ საკითხის შემდგომი სამართლებრივი მსვლელობისა და განხილვისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინტერესებისა და განვითარების საჭიროებების სრული გათვალისწინება, ასევე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.182) გამიჯვნასა და სერვიტუტის რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის პროცესის წარმომადგენლობით საბჭოზე დაყენების წინაპირობად, შემდეგი აუცილებელი საკითხების შეთანხმება:

1. **სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა:** მიწის ნაკვეთის დათმობის კომპენსაციის სახით, უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსების უკან არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.010.030) განხორციელდეს თსუ-სთვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის **პროექტირება-მშენებლობა** (სადაც სრულად განთავსდება თსუ ადმინისტრაცია, მოეწყობა არანაკლებ 10 სასწავლო აუდიტორია, სასაწყობე სივრცე და პარკინგი) დასრულებული სახით;

2. **ორმხრივი მემორანდუმის გაფორმება:** საკადასტრო ცვლილებების სამართლებრივ პროცედურებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ-ს შორის გაფორმდეს ოფიციალური მემორანდუმი, რომლითაც დარეგულირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შშმ) პირთა 203-ე საჯარო სკოლის ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები, სადაც საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიური პროცესის შემუშავებაში უშუალოდ ჩაერთვება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი;

3. **თანამესაკუთრის თანხმობა:** რადგან, აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტისა და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ თანასაკუთრებას, სამართლებრივი პროცესის შეუფერხებლად გასაგრძელებლად საჭიროა წარმოდგენილ პროექტსა და გამიჯვნის სქემაზე მიღებულ იქნას აღნიშნული კომპანიის ოფიციალური წერილობითი თანხმობა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ თანხმობა გამოხატა თსუ-ს მიერ წარდგენილი პირობების შესრულებაზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ-სასწავლო კორპუსის პროექტირება- მშენებლობასა და ორმხრივი

მემორანდუმის გაფორმებაზე, რის თაობაზეც აცნობა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

როგორც მომხსენებელმა საბჭოს სხდომას მოახსენა, წარმოდგენილი საპროექტო სქემების მიხედვით, გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის ჯამური საორიენტაციო სივრცე ერთიან ჭრილში იყოფა 3 დამოუკიდებელ ფუნქციურ ნაწილად, რომელთა ფართობები ამ ეტაპზე არის სავარაუდო/მიახლოებითი: სავარაუდოდ 5,367.6 კვ.მ. მიწის ფართი განკუთვნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შშმ) პირთა სსიპ - ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის შენობისა (~5650 კვ.მ. სამშენებლო ფართი) და მისი საცხოვრებლის (~1900 კვ.მ. სამშენებლო ფართი) ასაშენებლად; სავარაუდოდ 4,413.5 კვ.მ. მიწის ფართი განკუთვნილია სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ახალი შენობა-ნაგებობის მოსაწყობად (~2520 კვ.მ. სამშენებლო ფართი); სავარაუდოდ 3,510.7 კვ.მ. მიწის ფართი გამოიყოფა დამოუკიდებელ ზოლად საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.
შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენილია წარმომადგენლობით საბჭოზე.
მომსხენებელმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ რექტორის მხრიდან უკვე შედგა კომუნიკაცია ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან და ამავე ფაკულტეტის განათლების მეცნიერების დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შშმ) პირთა 203-ე საჯარო სკოლის საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიურ პროცესებში ჩართულობასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებით.
საკითხის ირგვლის გაიმართა მსჯელობა. დისკურიის შედეგად, სენატის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია გაიწეროს სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პროექტირებისა და მშენებლობის კონკრეტული ვადები, ვინაიდან დამატებითი სასწავლო/ადმინისტრაციული ფართები უნივერსიტეტისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.
სენატის მიერ ასევე, ერთხმად იქნა მხარდაჭერილი წინადადება, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაფორმდეს არა მემორანდუმი, არამედ ხელშეკრულება/შეთანხმება, რომლითაც დარეგულირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შშმ) პირთა 203-ე საჯარო სკოლის ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები, სადაც საგანმანათლებლო- მეთოდოლოგიური პროცესის შემუშავებაში უშუალოდ ჩაერთვება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი;
ასევე, თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, სენატის წევრმა ზურაბ გაიპარაშვილმა სენატისგან ითხოვა მხარდაჭერა, რათა თსუ-ს ბიბლიოთეკაში არსებული მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, თსუ-ს ბიბლიოთეკის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობის/დამონტაჟების თხოვნით მიემართოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.
კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდეგ, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილებები:**

1.გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა #48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (განახლებული საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.182) ნაწილის, (სავარაუდო ფართი, ჯამში **13,291.8 კვ.მ.**), კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამიჯვნაზე, სახელმწიფო საკუთრების უფლებით რეგისტრაციასა და სერვიტუტით დატვირთვაზე (მათ შორის, უნივერსიტეტის მიერ სარგებლობისათვის) შემდეგი პირობებით:

**ა)** მიწის ნაკვეთის დათმობის სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით, უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსების უკან არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.010.030) თსუ-სთვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის და შესაბამისი სარეკრეაციო სივრცის პროექტირების პროცესი** (სადაც გათვალისწინებული იქნება თსუ ადმინისტრაცია, არანაკლებ 10 სასწავლო აუდიტორია, სასაწყობე სივრცე და პარკინგი) დაიწყოს **არაუგვიანეს 2026 წლის 31 დეკემბრისა,** ასევე უზრუნველყოფილი იქნეს, ამ მიზნით, შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა.

**ბ)** მიწის ნაკვეთის დათმობის სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით, უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსების უკან არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.010.030) თსუ-სთვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა და შესაბამისი სარეკრეაციო სივრცის მოწყობა** (სადაც სრულად განთავსდება თსუ ადმინისტრაცია, მოეწყობა არანაკლებ 10 სასწავლო აუდიტორია, სასაწყობე სივრცე და პარკინგი დასრულებული სახით) განხორციელდეს **არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა.**

**გ)**საკადასტრო ცვლილებების განხორციელების სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ-ს შორის გაფორმდეს **ხელშეკრულება/შეთანხმება,** რომლითაც განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსმ) პირთა 203-ე საჯარო სკოლის ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები, სადაც საგანმანათლებლო- მეთოდოლოგიური პროცესის შემუშავებაში უშუალოდ ჩაერთვება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი; (დანართი 3);

2.ეთხოვოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თსუ-ს ბიბლიოთეკის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობისა და დამონტაჟებისათვის აუცილებელი სამუშაობის განხორციელების უზრუნველყოფა.

სენატის სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 07 აგვისტოს სხდომის ოქმი #5,

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2026 წლის 7 აგვისტო, #5 სხდომა

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1.საბა გოგიბერიძე -

2. ივა ბახტაძე –

3. ლუკა გიორგობიანი –

4. გიორგი გოროზია –

5. ლუკა რუხაძე –

6. ნიკა სამხარაძე -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ლია მაჭავარიანი-

2. მარიამ ახალკაციშვილი-

3. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. მარიამ ვარდოსანიძე-

2. ვასილ ბერიძე-

3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა გერგედავა -

## იურიდიული ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1.მაია ივანიძე-

2. ირა აქუბარდია –

3. ნინო გოგნიაშვილი -

**სტუდენტები:**

1. ბარბარა მახარაძე-

2. ანი ქიტიაშვილი –

3. ლუკა ჯანჯღავა -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1.ხათუნა მაისაშვილი-

2. რევაზ გაჩეჩილაძე -

**სტუდენტები:**

1. კახა კუჭუხიძე-

2. ლუკა ტაბიძე -

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

ვლადიმერ გამსახურდია-

**სტუდენტები:**

1. ლილი მამუკაშვილი –

2. ნინი ჯავახიშვილი -

## მედიცინის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ია კირვალიძე –
4. ლალი მარვაძე –
5. არჩილ ხომასურიძე -

**სტუდენტები:**

1.ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2.დემეტრე აბესაძე -

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. კახაბერ ლორია-
2. ანასტასია ზაქარიაძე-
3. მანანა რუსიეშვილი-

4. თეა ქარჩავა-

5. ნათია ფიფია -

**სტუდენტები:**

1. გიორგი არქანია-

2. მარიამ ბაღათურია -

3. მარიამ მახარობლიძე –

4. ქეთევან სტურუა –

5. ქეთევან ჭეიშვილი -

**საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა**

ზურაბ გაიპარაშვილი-

**ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა**

ნინო პავლიაშვილი-

**ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი**

ციური სუმბაძე-

## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

## კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

## შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

## ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

## ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

## ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

**თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი**

ედიშერ ფუტკარაძე-

**მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი-

**პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

მარინე ხუციშვილი- მ. ხუც

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

ეთერ კაკულია- ე. კაკულია

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

გვანცა გვანცელაძე-

**მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი**

ნოდარ ლომიძე-

**ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**

თეა შავაძე-

**ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი**

ალექსი პაჭკორია-

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 17632/10 05.08.2026

**სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს**

**ბატონო ვლადიმერ,**

წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებას.

საკითხი ეხება **შპს „მაგთიკომის" განცხადებას**, რომელიც უკავშირდება ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3-ში მდებარე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ **01.14.14.010.030**), კერძოდ — ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ უნივერსიტეტის ეზოში განთავსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის იჯარის უფლებით გაცემას.

აღნიშნული ინფრასტრუქტურის იჯარით გაცემის მიზანს წარმოადგენს მობილური და მობილური ინტერნეტ კავშირის ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხსენებულ რკინის კონსტრუქციაზე დაგეგმილია შესაბამისი სატელეკომუნიკაციო აპარატურის, ანტენებისა და საბაზო სადგურის განთავსება.

ხსენებული საკითხი იქნა განხილული კომისიის მიერ (სხდომის ოქმი: **09.07.2026წ. კანცელარიის №15387/10**, **26.06.2026წ.**), რის საფუძველზეც მიღებულ იქნას გადაწყვეტილება საკითხის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოსათვის განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემის თაობაზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული საკითხი და მოგვცეთ თანხმობა უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით.

**დანართი: შესაბამისი დოკუმენტაცია.**

**პატივისცემით,**

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შპს "მაგთიკომი"
№ ED-26/05/18-022
18-05-2026 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ ლაშა საღინაძეს**

**ბატონო ლაშა,**

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ.N1-3 (ნაკვ.10/030) მობილური და მობილური ინტერნეტ კავშირის გაუმჯობესების მიზნით, შპს "მაგთიკომი" გეგმავს საბაზო სადგურის განთავსებას, რისთვისაც შეირჩა ვარაზისხევის 1ა მიმდებარედ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქცია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ მითითებულ ტერიტორიაზე ანტენების და აპარატურის განთავსების თანხმობა და გაგვიფორმოთ იჯარის ხელშეკრულება. დანართის სახით გიგზავნით ფოტომონტაჟს.

**დანართი:** ფოტომონტაჟი;

საკონტაქტო პირი: გიორგი სვანიძე (ტელ: 599531127)

**პატივისცემით,**
**მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი**

**ნოდარ ბაღათურია**



Classification: MAGTICOM Confidential

შპს „ მაგთიკომი “

საბაზო სადგური

” Vake_ChAmirejibiHill”

2 0 2 6    წელი




| საბაზო სადგური | მისამართი | დასახელება | მასშტაბი | 1:500 | "მაგთიკომი" -ს საპროექტო სამსახური | |
|---|---|---|---|---|---|---|
| " Vake_ChAmirejibiHill " | ქ. თბილის, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი.<br>44.780451, 41.711843 | აეროფოტო გადაღება (ორთოფოტო) | ფურცელი | №1 | საპრ. ჯგ. ხელმძ. | |
| | | | თარიღი | 2026 | არქიტექტორი | გ. ფუტკარაძე |




| საბაზო სადგური | მისამართი | დასახელება | მასშტაბი | | "მაგთიკომი" -ს საპროექტო სამსახური | |
|---|---|---|---|---|---|---|
| " Vake_ChAmirejibiHill " | ქ. თბილისი, ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარე რკინის კონსტრუქცია | ფოტომონტაჟი | ფურცელი | №2 | საპრ. ჯგ. ხელმძ. | |
| | | | თარიღი | 2026 | არქიტექტორი | გ. ფუტკარაძე |

N 15387/10 09.07.2026

**სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის**
**ოქმი**

ქ. თბილისი
26.06.2026 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე
სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
გიორგი შამათავა, არჩილ კუკულავა, იოსებ სოფრომაძე, ზვიად სოფრომაძე, მურმან ცარციძე, მანონი ჯოჯუა, ლია მჭედლიშვილი.
სხდომას არ ესწრებოდნენ: კომისიის წევრები - ლიანა ღვალაძე და რუსუდან ნასარიძე.

**დღის წესრიგი:**

1. შპს „მაგთიკომის" მომართვა: თსუ-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3, ს/კოდი: 01.14.14.010.030), კერძოდ ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

2. სს „სილქნეტის" მომართვა: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში მდებარე (ს/კოდი: 01.14.14.010.030, ნაგებობა N9) ორსართულიანი შენობის სახურავის ნაწილის (10 კვ.მ.) იჯარის უფლებით გაცემის შესახებ.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი წერილები: ქ. თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა N2-ში მდებარე (ს/კოდი: 01.16.01.010.019) თსუ-ის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში (თხოვება) გადაცემის საკითხი.

4. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მომართვა ქონების განკარგვაზე: ქ. თბილისში, ალექსიძის მე-2 შესახვევი N2-ში მდებარე (ს/კოდი: 01.10.13.040.017) მიწის ნაკვეთის ნაწილის (804 კვ.მ.) მიჯვნისა და უნივერსიტეტისათვის რეგისტრირებული უსასყიდლო სარგებლობის უფლების შეწყვეტის საკითხი.

5. შპს „დოტის“ მომართვა (აუქციონის პირობების დამტკიცება): ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N50-ში (ს/კოდი: 01.14.06.006.133) თსუ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების — 172 კვ.მ. ფართისა და 1125 კვ.მ. მიწის ფართის აუქციონის წესით, 10 წლის ვადით, იჯარის უფლებით გაცემის კონკრეტული პირობების განსაზღვრა და დამტკიცება.

**საკითხების განხილვა და მიღებული გადაწყვეტილებები:**

**საკითხი 1: შპს „მაგთიკომის“ მომართვა**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას გააცნო შპს „მაგთიკომის“ 19.05.2026 წ. №8772/10-02 წერილი. კომპანია ითხოვს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3-ში მდებარე (ს/კოდი: 01.14.14.010.030) ტერიტორიაზე, კერძოდ, ვარაზისხევის 1ა-ს მიმდებარედ უნივერსიტეტის ეზოში არსებული რკინის კონსტრუქციის ნაწილის იჯარით გადაცემას მობილური და მობილური ინტერნეტ კავშირის გაუმჯობესების მიზნით, საბაზო სადგურის, ანტენებისა და შესაბამისი აპარატურის განსათავსებლად. წერილს თან ერთვის ფოტომონტაჟი.

**კომისიამ დაადგინა:** საკითხი შპს „მაგთიკომისთვის“ რკინის კონსტრუქციის ნაწილის იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

**საკითხი 2: სს „სილქნეტის“ მომართვა**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას გააცნო სს „სილქნეტის“ 07.04.2026 წ. №1637/14-8 წერილი. კომპანია ითხოვს ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში მდებარე (ს/კოდი: 01.14.14.010.030, ნაგებობა N9) რეგისტრირებული ტერიტორიიდან, კერძოდ 41.711450°, 44.779712° კოორდინატზე მდებარე ორსართულიანი შენობის სახურავის ნაწილის (10 კვ.მ) იჯარით გადაცემას მობილური კავშირგაბმულობის სადგურის განთავსების მიზნით.

**კომისიამ დაადგინა:** კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია სს „სილქნეტის“ მობილური კავშირგაბმულობის სადგურის განთავსება წარმოდგენილ ლოკაციაზე (ორსართულიანი შენობის სახურავზე).

**საკითხი 3: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი წერილები**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას წარუდგინა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 28.05.2026 წ. №9258/10-02 და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 02.06.2026 წ. №9477/10-02 წერილები. აღნიშნული უწყებები ითხოვენ თსუ-ის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თბილისში, კონსტიტუციის ქ. №2-ში, ს/კოდი: 01.16.01.010.019) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემას.

**კომისიამ დაადგინა:** ვინაიდან ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი მოლაპარაკებები, საკითხის საბოლოო დაზუსტებამდე მისი განხილვა გადაიდო.

**საკითხი 4: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მომართვა ქონების განკარგვაზე**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას გააცნო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 27 მარტის MES 5 26 0000368311 წერილი. საკითხი ეხება ქ. თბილისში, ალექსიძის მე-2 შესახვევი N2-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 5507 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კოდი: 01.10.13.040.017). სამინისტრო ითხოვს აღნიშნული ნაკვეთიდან 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფას (გამიჯვნას) და მასზე რეგისტრირებული უსასყიდლო სარგებლობის უფლების შეწყვეტას, შემდგომში მისი პრივატიზების მიზნით.

**კომისიამ დაადგინა:** ვინაიდან ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი მოლაპარაკებები, საკითხის საბოლოო დაზუსტებამდე მისი განხილვა გადაიდო.

**საკითხი 5: შპს „დოტის" მომართვა (აუქციონის პირობების დამტკიცება)**

**მოისმინეს:** მომხსენებელმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას გააცნო მოხსენებითი ბარათი (№14156/10, 26.06.2026 წ.) და აღნიშნა, რომ შპს „დოტის" მომართვის საფუძველზე, კომისიის 19.02.2026 წ. სხდომასა და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 26.03.2026 წ. სხდომაზე (ოქმი N2) უკვე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება ქონების იჯარით გაცემაზე. დამოუკიდებელი შემფასებლის 20.04.2026 წ. ანგარიშით, ნულოვან სართულზე არსებული 172 კვ.მ ფართის ღირებულებაა 2000 ლარი, ხოლო 1125 კვ.მ მიწის — 2600 ლარი. მიღებულია აუცილებელი თანხმობები განათლების სამინისტროდან (29.04.2026 წ. MES 3 26 0000504326) და ეკონომიკის სამინისტროდან (23.06.2026 წ. №04/4299). ვინაიდან ფართი მთლიანად სარემონტოა, დღის წესრიგში დგას ელექტრონული აუქციონის კონკრეტული პირობების, საწყისი ფასისა და გამარჯვებულის ვალდებულებების საბოლოო დამტკიცება.

**კომისიამ დაადგინა:** დამტკიცდეს წარმოდგენილი პირობები და ამ პირობებით გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი:

**ქონების აღწერილობა:** ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №50, ს/კოდი: 01.14.06.006.133, უნივერსიტეტის მე-11 სასწავლო კორპუსის (ბიოლოგების) ნულოვან სართულზე არსებული 172 კვ.მ. შენობის ფართი და 1125 კვ.მ. მიწის ფართი.

- იჯარის ვადა: 2035 წლის 17 ივლისამდე.
- საწყისი საიჯარო ქირის ოდენობა თვეში: 4600 (ოთხი ათას ექვსასი) ლარი.
- საგარანტიო თანხა/ბე (უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია): 13800 (ცამეტი ათას რვაასი) ლარი.
- ვაჭრობის ბიჯის ოდენობა: 200 (ორასი) ლარი.
- აუქციონის ვადა: 10 დღე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:**

ა) საკუთარი ხარჯებით დაარეგისტრიროს სარგებლობის (იჯარის) უფლება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) 1125 კვ.მ. მიწის ფართზე უნდა მოეწყოს არსებულ ტირთან დამოუკიდებელი შესასვლელი, იმ მიზნით, რომ ვიზიტორებმა ხელი არ შეუშალონ სასწავლო პროცესს და ობიექტთა ფუნქციონირებას უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვით, ასევე უნდა განხორციელდეს არსებული საპარკინგე სივრცის კეთილმოწყობა, რომლითაც ისარგებლებენ უნივერსიტეტის თანამშრომლები და სპორტული სროლის შემსწავლელი სივრცის (ტირის) ვიზიტორები. სხვა ეკონომიკური საქმიანობა ამ სივრცეში არ არის დაშვებული;

გ) საკუთარი სახსრებითა და საშუალებებით, მეიჯარის (უნივერსიტეტის ადმინისტრაციის) მითითებით, უზრუნველყოს აღნიშნულ ფართში (ნულოვან სართულზე) არსებული 2 (ორი) ოთახის სარემონტო სამუშაოების განხორციელება;

დ) გადაიხადოს ყოველთვიური საიჯარო ქირა, არაუგვიანეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღისა;

ე) უზრუნველყოს გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა, ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების დაცვით, ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში (არსებული კანონმდებლობის შესაბამისად);

ვ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გადაცემული ქონების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები. ასევე, ის სამუშაოები, რომლებიც უკავშირდება ფართის გადაკეთებას, ტიხრებისა და ღიობების მოწყობას და ა.შ. წინასწარ აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, წერილობით შეათანხმოს სამუშაოების პროექტი და ჩატარების გრაფიკი;

ზ) გადაიხადოს ქონების კომუნალური მომსახურების გადასახადები დადგენილი ტარიფისა და წესის მიხედვით, რისთვისაც ცალკე გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციებთან. საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს აბონენტად რეგისტრაცია;

თ) იჯარის ვადის გასვლის შემდგომ დააბრუნოს ქონება გამართულ (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით) მდგომარეობაში;

ი) გადაცემული ქონება სარგებლობის უფლებით არ გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) მესამე პირს;

კ) არ განათავსოს რეკლამა (თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკლამის გარდა) გადაცემულ ქონებაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე;

ლ) ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში სრულად გადაიხადოს პირგასამტეხლო, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და პირობებით;

მ) წარუდგინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წერილობითი ინფორმაცია მოთხოვნისთანავე ხელშეკრულების პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;

ნ) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტური და ვიზუალური მონიტორინგის და სხვა უფლებამოსილებების განხორციელებაში;

**მეიჯარის უფლებამოსილება და დამატებითი ადმინისტრაციული პირობები:**

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საიჯარო ხელშეკრულება უქმდება მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კვირის ვადაში;

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი დგება აუქციონის დასრულებისთანავე; ოქმი არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, რომელიც შეიცავს უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემის ძირითად პირობებს, რომლის შემდგომ ფორმდება საიჯარო ხელშეკრულება;

- უნივერსიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულ პირს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი საიჯარო ქირის საზღაურის ოდენობაში;

- უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ **1 (ერთი) წლის ვადით**. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, არსებული საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე **არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე**, ყოველწლიურად წარადგინოს განახლებული საბანკო გარანტია იმავე პირობებით. ხელშეკრულების ბოლო წელს წარმოდგენილი გარანტიის ვადა საიჯარო ურთიერთობის დასრულების თარიღს უნდა აღემატებოდეს არანაკლებ **15 კალენდარული დღით**.

- თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააააქტიურეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონულ აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

იოსებ სოფრომაძე

დეპარტამენტის უფროსი
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

ზვიად სოფრომაძე

განყოფილების უფროსი
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
საფინანსო დეპარტამენტი

მურმანი ცარციძე

ექსპერტი
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა მჭედლიშვილი

განყოფილების უფროსის მოადგილე
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 17631/10 05.08.2026

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს**

**ბატონო ვლადიმერ,**

განსახილველად წარმოგიდგენთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შემოსულ 02.03.2026 წლის #MES3260000247106 წერილს. აღნიშნული კორესპონდენცია ეხება შპს „ოპტიმა საბურთალოსა" და შპს „ლენდის" ერთობლივ მომართვას, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის ქუჩა N48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის გამიჯვნასა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხს.

წარმოდგენილი საპროექტო სქემების მიხედვით, გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის ჯამური საორიენტაციო სივრცე ერთიან ჭრილში იყოფა 3 დამოუკიდებელ ფუნქციურ ნაწილად, რომელთა ფართობები ამ ეტაპზე არის **სავარაუდო/მიახლოებითი**:

- სავარაუდოდ 5,367.6 კვ.მ. მიწის ფართი განკუთვნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (სსმ) პირთა სსიპ - ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის შენობისა (~5650 კვ.მ. სამშენებლო ფართი) და მისი საცხოვრებლის (~1900 კვ.მ. სამშენებლო ფართი) ასაშენებლად;

- სავარაუდოდ 4,413.5 კვ.მ. მიწის ფართი განკუთვნილია სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ახალი შენობა-ნაგებობის მოსაწყობად (~2520 კვ.მ. სამშენებლო ფართი);

- სავარაუდოდ 3,510.7 კვ.მ. მიწის ფართი გამოიყოფა დამოუკიდებელ ზოლად საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

**უნდა აღინიშნოს, რომ** სამინისტროსა და კომპანიების წერილებში საორიენტაციო ტერიტორიად მითითებულია ძველი საკადასტრო კოდი — 01.14.06.006.116. ვინაიდან უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა ხსენებული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა სამ დამოუკიდებელ ნაწილად, რის შედეგადაც, კომპანიების მიერ მოთხოვნილი და გადასაცემად განკუთვნილი ტერიტორია სრულად მოექცა ახალ, დაზუსტებულ საკადასტრო კოდში (**01.14.06.006.182**), ნებისმიერი შემდგომი სამართლებრივი მსვლელობა და განხილვა უნდა წარიმართოს აღნიშნული (მიმდინარე) კოდის ფარგლებში.

ამასთან, თსუ-ს ადმინისტრაციამ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის მიწერილი **2026 წლის 28 ივლისის #17090/02-80-03 წერილით** დააფიქსირა, რომ საკითხის შემდგომი სამართლებრივი მსვლელობისა და

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

განხილვისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინტერესებისა და განვითარების საჭიროებების სრული გათვალისწინება.

შესაბამისად, მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.182) გამიჯვნასა და სერვიტუტის რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის პროცესის წარმომადგენლობით საბჭოზე დაყენების წინაპირობად, მიზანშეწონილია შემდეგი საკითხების შეთანხმება (უნივერსიტეტის #17090/02-80-03 წერილის შესაბამისად):

1. **სასწავლო - ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა:** მიწის ნაკვეთის დათმობის კომპენსაციის სახით, უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსების უკან არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.010.030) განხორციელდეს თსუ-სთვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის **პროექტირება-მშენებლობა** (სადაც სრულად განთავსდება თსუ ადმინისტრაცია, მოეწყობა არანაკლებ 10 სასწავლო აუდიტორია, სასაწყობე სივრცე და პარკინგი) დასრულებული სახით;

2. **ორმხრივი მემორანდუმის გაფორმება:** საკადასტრო ცვლილებების სამართლებრივ პროცედურებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ-ს შორის გაფორმდეს ოფიციალური მემორანდუმი, რომლითაც დარეგულირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შშმ) პირთა 203-ე საჯარო სკოლის ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები, სადაც საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიური პროცესის შემუშავებაში უშუალოდ ჩაერთვება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი;

3. **თანამესაკუთრის თანხმობა:** რადგან, აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტისა და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" თანასაკუთრებას, სამართლებრივი პროცესის შეუფერხებლად გასაგრძელებლად საჭიროა წარმოდგენილ პროექტსა და გამიჯვნის სქემაზე მიღებულ იქნას აღნიშნული კომპანიის ოფიციალური წერილობითი თანხმობა.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2026 წლის 29 ივლისის #MES 9 26 0000991728 წერილით თანხმობა გამოხატა თსუ-ს მიერ წარდგენილი პირობების შესრულებაზე, მათ შორის, ადმინისტრაციულ-სასწავლო კორპუსის პროექტირება-მშენებლობასა და ორმხრივი მემორანდუმის გაფორმებაზე, რის თაობაზეც აცნობა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

ვინაიდან ამ გადაწყვეტილების მიღება სცილდება მიმდინარე მართვის ფარგლებს და ეხება უნივერსიტეტის ქონებრივ სტატუსსა და სტრატეგიულ ინტერესებს, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ხსენებულ საკითხს წარმომადგენლობით საბჭოზე გადაწყვეტილების მისაღებად.

**თანდართული მასალები:**

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 2 მარტის წერილი #MES3260000247106;
2. შპს „ოპტიმა საბურთალოსა" და შპს „ლენდის" 2026 წლის 20 თებერვლის ერთობლივი მომართვა (#N1_OPTS26/N1_LAND26) თანდართული დოკუმენტაციით;

3. თსუ-ს 2026 წლის 28 ივლისის #17090/02-80-03 წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მისამართით;
4. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ **2026 წლის 29** ივლისის #MES 9 26 0000991728 წერილი;
5. მიწის ნაკვეთის მიმდინარე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განახლებული საკადასტრო კოდით: 01.14.06.006.182);
6. მიწის ნაკვეთის განახლებული საკადასტრო გეგმა (ს/კ 01.14.06.006.182-ის ფარგლებში განხორციელებული ახალი გამიჯვნის მიხედვით).

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.06.006.182**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882026231224 - 20/03/2026 10:08:24** | **05/05/2026 11:29:59** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | ვაკე | | |
| **01** | **14** | **06** | **006/182** |

**მისამართი: ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 48**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** თანასაკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 65267.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.14.06.006.116;**
**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** N1; N2; N3; N4; N5

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022094574 , თარიღი 09/02/2022 15:04:36**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/03/2022**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- ბრძანება N1-3/139 , დამოწმების თარიღი:29/02/2012 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- ბრძანება N1-3/679 , დამოწმების თარიღი:26/07/2012 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- წერილი N05/15654 , დამოწმების თარიღი:18/07/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- წერილი N05/14350 , დამოწმების თარიღი:29/06/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- წერილი N04/8920 , დამოწმების თარიღი:23/12/2021 , საქართველოს ეკონიმიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ნასყიდობის ხელშეკრულება N120975027 , დამოწმების თარიღი:12/09/2012 ,ნოტარიუსი რ.ფიფია
- ბრძანება N1-1/53 , დამოწმების თარიღი:30/08/2013 ,შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო"
- წერილი N7 / 1 5 7 4 9 , დამოწმების თარიღი:22/03/2022 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1-3/1179 , დამოწმების თარიღი:28/11/2011 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"

**მესაკუთრეები:**
**შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"**, ID ნომერი:405007200
**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**, ID ნომერი:204864548, იურ. მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზირი N 1

| მესაკუთრე: | აღწერა: |
|---|---|
| **შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"** | შენობა-ნაგებობა N1-2-ის ტერასაზე არსებული 19.59 კვ.მ ფართი. |
| **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | N1, N2, N3, N4, N5 (გარდა შენობა-ნაგებობა N1-2-ის სახურავზე არსებული 19.59 კვ.მ. ფართისა) |

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

რეგისტრირებული არ არის

---

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011229801 თარიღი 17/05/2011 16:37:00** | **მოიჯარე: შპს "მაგთიკომი"**204876606;<br>**მესაკუთრე: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** 204864548;<br>საგანი:საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შენობის სახურავის ნაწილი ფართით 10.00 კვ.მ;<br>საბოლოო თარიღი:20/04/2016; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/06/2011** | **იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110455264, დამოწმების თარიღი05/05/2011, ნოტარიუსი რ. ფიფია ,** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011642706 თარიღი 30/12/2011 16:05:24** | **მოიჯარე: შპს "მაგთიკომი"**204876606;<br>**მესაკუთრე: შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია'**405007200;<br>საგანი:ფართი 11.55 კვ.მ (შენობა-ნაგებობა N1-N2-ის ტერასა) ;<br>ვადა:5 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/01/2012** | **იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი30/12/2011, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012094637 თარიღი 06/03/2012 16:51:25** | **დამქირავებელი: შპს "ჯეოსელი"** 203841940;<br>**მესაკუთრე: შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია'**405007200;<br>საგანი:შენობა-ნაგებობა N1-N2 -ზე ფართი 7.04კვ.მ;<br>ვადა:5 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/03/2012** | **ქირავნობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი06/03/2012, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019605315 თარიღი 26/07/2019 11:24:05** | **მეიჯარე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>**მოიჯარე: შპს "კანტი"**200140267;<br>საგანი: ბიბლიოთეკის მე-4 სართულის ფოიეში არსებული 2 კვ.მ. ;<br>ვადა:3 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/08/2019** | **შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის შესახებ 2018 წლის 19 ივლისის N881/08 ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/07/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**<br>**ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი19/06/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022958710 თარიღი 20/12/2022 14:34:56** | **მოიჯარე: შპს "ვიონი საქართველო"**204450584;<br>**მესაკუთრე: შპს " აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია '**405007200;<br>საგანი:შენობა-ნაგებობა N1-N2 -ის ტერასაზე არსებული ფართი 19.59 კვ.მ. _დან 1 კვ.მ.;<br>ვადა:5 წელი;<br>(იჯარის ვადა აითვლება 2021 წლის 20 დეკემბრიდან); |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი** | **უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი11/01/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |

# ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

**განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

02/03/2026

MES 3 26 0000247106

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად შემოსულია შპს ,,ოპტიმა საბურთალო"-ს და შპს ,,ლენდი"-ს დირექტორის გურამ ახვლედიანის განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის N208490 23.02.2026წ.), რომელიც ეხება, შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის, მდებარე ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N48 (ს/კ 01.14.06.006.116) წარმოდგენილი დანართის შესაბამისად (იხილეთ მიბმული ფაილი) გამიჯვნისა და სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხს.

გიგზავნით აღნიშნულ კორესპონდენციას და გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში გვაცნობოთ თქვენი, წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმებული პოზიცია საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე
ლევან ღირსიაშვილი

ელექტრონული
ხელმოწერილია
ელექტრონულად

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის №52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
info@mes.gov.ge

29/07/2026

MES 9 26 0000991728

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განხილულ იქნა შპს „ოპტიმა სამეგრელოსა" და შპს „ლუნდის" მიმართვა (სამინისტროში რეგისტრაციის №208490; 23.02.2026), ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) ნაწილის გამიჯვნისა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე. ასევე, გაცნობებთ, რომ მითითებულ უძრავ ქონებას მინიჭებული აქვს განახლებული საკადასტრო კოდი – 01.14.06.006.182 (წერილში მითითებული ძველი საკადასტრო კოდის – 01.14.06.006.116 – ნაცვლად).

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მიწის ნაკვეთის გამიჯვნისა და შესაბამის რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის წინაპირობად მიიჩნევს შემდეგი საკითხების კომპლექსურად შეთანხმებასა და გადაწყვეტას:

1. **ადმინისტრაციულ-სასწავლო კორპუსის მშენებლობა** – მიწის ნაკვეთის დათმობის სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით, თსუ-ის პირველ და მეორე კორპუსებს შორის არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.010.030) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პროექტირება და დასრულებული სახით მშენებლობა, რომელშიც სრულად განთავსდება თსუ-ის ადმინისტრაცია, მოეწყობა არანაკლებ 10 სასწავლო აუდიტორია, სასაწყობე სივრცეები და პარკინგი;
2. **ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება** – საკადასტრო ცვლილებების განხორციელებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ-ს შორის გაფორმდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლითაც დარეგულირდება სსიპ – ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის) ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები და უზრუნველყოფილი იქნება თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უშუალო ჩართულობა საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიურ პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და განსაზღვრული პირობების საფუძველზე, სამინისტრო თანახმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული შემდგომი პროცედურები განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ასევე, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული გარემოებებისა და პირობების გათვალისწინებით, აგრეთვე მემორანდუმის პროექტის შეთანხმების შემდგომ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საკითხის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უახლოეს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე
ლევან ღირსიაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 17090/02-80-03

28/07/2026

17090-02-80-03-2-
202607281752

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ ლევან ღირსიაშვილს**

**ბატონო ლევან,**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განიხილა თქვენი 2026 წლის 2 მარტის #MES3260000247106 წერილი, რომელიც ეხება შპს „ოპტიმა საბურთალოსა“ და შპს „ლენდის“ ერთობლივ მომართვას, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა #48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის გამიჯვნისა და სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის თაობაზე.

პირველ რიგში გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში მითითებულ მიწის ნაკვეთს ამჟამად მინიჭებული აქვს განახლებული საკადასტრო კოდი: **01.14.06.006.182** (ნაცვლად წერილში აღნიშნული ძველი კოდისა 01.14.06.006.116).

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სქემების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საუბარია ჯამში **13,291.8 კვ.მ.** ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და მასზე დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნულ კომპლექსურ საკითხს უნივერსიტეტი განიხილავს ერთიან ჭრილში და მიაჩნია, რომ საკითხის შემდგომი სამართლებრივი მსვლელობისა და განხილვისათვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინტერესებისა და განვითარების საჭიროებების გათვალისწინება.

შესაბამისად, მიწის ნაკვეთის (ს/კ **01.14.06.006.182**) გამიჯვნასა და სერვიტუტის რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების შეთანხმება:

1. **ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა:** მიწის ნაკვეთის დათმობის კომპენსაციის სახით, უნივერსიტეტის პირველ და მე-2 კორპუსებს შორის არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 01.14.14.010.030) განხორციელდეს თსუ-სთვის განკუთვნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პროექტირება-მშენებლობა (სადაც სრულად განთავსდება თსუ ადმინისტრაცია, მოეწყობა არანაკლებ 10 სასწავლო აუდიტორია, სასაწყობე სივრცე და პარკინგი) დასრულებული სახით.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 222 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; chancellery@tsu.ge E-mail

**2. ორმხრივი მემორანდუმის გაფორმება:** საკადასტრო ცვლილებების სამართლებრივ პროცედურებამდე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ-ს შორის გაფორმდეს ოფიციალური მემორანდუმი, რომლითაც დარეგულირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე (შშმ) პირთა 203-ე საჯარო სკოლის ფუნქციონირების მიზნები და ამოცანები, სადაც საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიური პროცესის შემუშავებაში უშუალოდ ჩაერთვება თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

**3. თანამესაკუთრის თანხმობა:** ვინაიდან აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტისა და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ თანასაკუთრებას, სამართლებრივი პროცესის შეუფერხებლად გასაგრძელებლად საჭიროა წარმოდგენილ პროექტსა და გამიჯვნის სქემაზე მიღებულ იქნას აღნიშნული კომპანიის ოფიციალური წერილობითი თანხმობა.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და მემორანდუმის პროექტის შეთანხმებისთანავე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საკითხი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადააგზავნოს თსუ-ს სენატის (წარმომადგენლობითი საბჭოს) უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**პატივისცემით,**

მანონი ჯოჯუა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N1_OPTS26/N1_LAND26

20 თებერვალი, 2026 წელი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ✓

ასლი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

2025 წლის 23 სექტემბერს, თქვენ უწყებაში წარმოდგენილი წერილის (#E1409) შემდეგ, ვინაიდან ყველა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებულ მიწის ნაკვეთებზე (## 01.14.04.028.091, 01.14.04.028.082, 01.14.04.028.083, 01.14.04.028.084, 01.14.04.028.085) ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით, ვერ მოხერხდა მშენებლობის ნებართვების მოპოვება, გაიმართა არაერთი შეხვედრა და კონსულტაცია, რომლის შედეგადაც შეირჩა ახალი მიწის ნაკვეთი, კერძოდ, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. #48-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) ნაწილი (იხ. დანართი), სადაც კომპანიები მზად არიან, შეასრულონ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის #357 განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები (მათ შორის, კომპანიები ვალდებულების შესრულებამდე უზრუნველყოფენ ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების, კერძოდ: სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ 205169592) მიერ #01.14.15.025.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობას).

შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.06.006.116) გამიჯვნისა და გამოსამიჯნ მიწის ნაკვეთებზე შენობა-ნაგებობების განთავსების სქემას, რათა შესაძლებელი გახდეს შემდგომ #01.14.06.006.116 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან დანართის შესაბამისად მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

სქემის მიხედვით, #01.14.06.006.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან გამოსაყოფი მიწის ნაკვეთი უნდა დაიყოს 3 საკადასტრო კოდად: ერთ მათგანზე განთავსდება 203-ე საჯარო სკოლა და მისი საცხოვრებელი, მეორეზე - სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობა, ხოლო მესამე მიწის ნაკვეთი იქნება გზისთვის განკუთვნილი. 203-ე საჯარო სკოლისა და მისი საცხოვრებლისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის ფართობი იქნება 5367.6 კვ.მ., სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის ფართობი - 4413.5 კვ.მ, ხოლო გზას დაეთმობა 3510.7 კვ.მ.

რაც შეეხება შენობა-ნაგებობების სამშენებლო ფართობს: 203-ე საჯარო სკოლის სამშენებლო ფართობი იქნება დაახლოებით 5650 კვ.მ., მისი საცხოვრებლის სამშენებლო ფართობი - დაახლოებით 1900 კვ.მ., ხოლო სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობის სამშენებლო ფართობი - დაახლოებით 2520 კვ.მ. შენობა-ნაგებობები შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის #357 განკარგულების მოთხოვნებთან.

ასევე, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი (ს/კ #01.14.06.006.116) შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისა“ და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასაკუთრებაშია, გთხოვთ, დანართის შესაბამისად, #01.14.06.006.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი მიწის ნაკვეთების გამომიჯვნისა და სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაციის საკითხი შეათანხმოთ ასევე აღნიშნულ უწყებებთან.

ასევე, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის #357 განკარგულების საფუძველზე, შპს „ოპტიმა საბურთალოსა“ და შპს „ლენდს“ დაევალა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან (2024 წლის 2 აპრილი) არა უგვიანეს 36 თვის ვადაში 203-ე საჯარო სკოლის, მისი საცხოვრებლისა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობების მშენებლობა, სარემონტო სამუშაოების დასრულება, ექსპლუატაციაში მიღება და სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად დარჩენილია 1 წელი და 1 თვე, ხოლო ახალი მიწის ნაკვეთის შერჩევა ნიშნავს პრაქტიკულად თავიდან იმავე პროცესის გავლას, რაც გავიარეთ 2 წლის განმავლობაში მიწის ნაკვეთების (## 01.14.04.028.091, 01.14.04.028.082, 01.14.04.028.083, 01.14.04.028.084, 01.14.04.028.085) მშენებლობის დაწყების კონდიციამდე მიყვანისთვის (რაც მოიცავდა მათ შორის, შენობა-ნაგებობათა კონცეფციის მომზადებას/ცვლილებას, უწყებებთან შეთანხმებას, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებას/ცვლილებას, უწყებებთან შეთანხმებას, მიწის ნაკვეთების გამიჯვნა-გაერთიანებას, სამინისტროებისთვის სარგებლობაში გადაცემას, სატრანსპორტო სქემის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას, მშენებლობის ნებართვების მოსაპოვებლად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას..), მოგმართავთ თხოვნით, შეიტანოთ ცვლილება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის #357 განკარგულებაში იმგვარად, რომ ვალდებულებების შესრულების ვადად განისაზღვროს ამავე განკარგულებით დადგენილი ვადიდან - 2027 წლის 2 აპრილიდან 24 თვე - 2029 წლის 2 აპრილის ჩათვლით.

ასევე, მზად ვართ საინვესტიციო ვალდებულების სახით დავხარჯოთ კომპანიების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.14.15.025.033, 01.14.15.025.032, 01.14.15.025.027, 01.14.15.025.020) საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის #300 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით დადგენილი საინვესტიციო პირობის შესრულების ვადის გაზრდისთვის განსაზღვრული საფასური - 3 142 368 ლარი, რომელიც გამოითვლება ამავე დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით დადგენილი წესით: კერძოდ: სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით (5006374723, 5006376423, 5006377123, 5006375123) დადგენილი მიწის ნაკვეთების (ს/კ 01.14.15.025.033, 01.14.15.025.032, 01.14.15.025.027, 01.14.15.025.020) საბაზრო ღირებულების 1%-ის ერთი მეთორმეტედი გამრავლებული 24 თვეზე და გამრავლებული 5-ზე.

ს/კ: 591 019 444

გივი კარტოზიას N10

დანართი: 4 გვ.

პატივისცემით,

შპს „ოპტიმა საბურთალოს" და შპს „ლენდის" დირექტორი

გურამ ახვლედიანი

დანართი 1



# დანართი 2


01.14.06.006.116
გზა
3,510.7 m²
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
5,367.6 m²
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
4,413.5 m²
01.14.06.006.116

დანართი 3


01.14.06.006.116
საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
მიწის ფართობი - 5,367.6 m²
სკოლა
დაახლოვებითი სამშენებლო ფართი 5650 კვ.მ.
სართული 3-4
სკოლის საცხოვრებელი
დაახლოვებითი სამშენებლო ფართი 1900 კვ.მ.
სართული 3
GEN
B/R
GEN
საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო
მიწის ფართობი - 4,413.5 m²
01.14.06.006.116
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის
მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობა
დაახლოვებითი სამშენებლო ფართი 2520 კვ.მ.
სართული 3

# დანართი 4


საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მიწის ფართობი - 4,413.5 m²
სკოლა
დაახლოვებითი სამშენებლო ფართი 5650 კვ.მ.
სართული 3-4
გზა
მიწის ფართობი - 3,510.7 m²
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
მიწის ფართობი - 5,367.6 m²
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შენობა-ნაგებობა
დაახლოვებითი სამშენებლო ფართი 2520 კვ.მ.
სართული 3
სკოლის საცხოვრებელი
დაახლოვებითი სამშენებლო ფართი 1900 კვ.მ.
სართული 3

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.14.06.006.182**

განცხადების ნომერი: **882026231224**

მომზადების თარიღი: **05/05/2026**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **65267 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




პირობითი აღნიშვნები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაკვეთის საზღვარი | მშენებარე ნაგებობა | აშენებული ნაგებობა | მიწისქვეშა ნაგებობა |
| ხაზობრივი ნაგებობა | ტყის ფონდი | ვალდებულება | ქარსაფარი ზოლი |